ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4222225

ნომერი: AR1637080

თარიღი : 12.10.2018

გაცემის თარიღი : 17.10.2018

გაცნობის თარიღი : 17.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა N23;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე გრიგალაშვილი პ/ნ 01011096055
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გუჯარეთის I ქუჩა, N 45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

საპროექტო ფართის წილობრივი კოდი მონიშნულ იქნეს "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე"და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ფართის ამონაწერი. აღნიშნულის წარმოდგენის შემდგომ დადგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება და სხვა შესაძლო თანხმობების წარმოდგენის საჭიროება. გაითვალისწინეთ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ,მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა პირმა ვინც დაინტერესებულია საპროექტო სამუშაოებით ;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 18, პუნქტი 10, ქვეპუნქტი გ)-ს გათვალისწინებით , რომლის თანახმად: სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსოებში. მათი არ არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგრების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.
აღნიშნულის გათვალისწინებით იმისათვის რომ სამსახურმა დაადგინოს კონდიციონერის აგრეგატის განთავსების ადგილი საკადასტრო გეგმაზე მოინიშნოს საპროექტო კონდიციონერის განთავსების არეალი (ორთოგონალური პროექცია) და კონტურის სახით მოინიშნოს საპროექტო ფართის არეალი.
გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ფასადი ორიენტირებულია ქუჩის მხსარეს ასეთ შემთხვევაში სამსახური თქვენს შემოთავაზებულ ვერსიას ვერ დაეთანხმება რისთვისაც წარმოსადგენი გექნებათ ახალი ადგილის ამსახველი ფოტოსურათები და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი.

-ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს მოთხოვნაზე/განსახორციელებელი სამუშაოების მიზანშეწონილობაზე და სამსახურის გადაწყვეტილება გეცნობებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.